პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 252 (5802)

1976 წ. 22 დეკემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში სტუმრად იყო სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი მაიკლ კილანინი. სტუმარმა დაათვალიერა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის სპორტული ბაზები, ადგილები, სადაც 1980 წელს გაიმართება მომავალი ოლიმპიური თამაშები. საპატიო სტუმარი კმაყოფილი დარჩა ვიზიტის შედეგებით.

●

სურათზე: ლორდი კილანინი (ცენტრში, ყვანჭით) არმიელ ჰოკეისტთა შორის ცსკა-ს სპორტული კომპლექსის დათვალიერების დროს.

(საკდესის ფოტო).

ექსპრესის დეპეშები

● 20 დეკემბერს შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებმა მონაწილეთაგან პირველმა დაამთავრა ტურნირი „იზვესტიის" პრიზზე, როცა მეოთხე ტურში დაამარცხა ფინეთის ეროვნული გუნდი — 9:0 (2:0, 3:0, 4:0).

ამჯერად სკანდინაველთა ტრადიციულად ძლიერმა მეტოქეებმა — ფინელმა ჰოკეისტებმა შესაფერი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს „ტრე კრუნურს".

შვედებს ხუთი ქულა აქვთ და ჯერჯერობით II ადგილზე არიან.

— მე ბევრი ახალგაზრდა შვედი ჰოკეისტი მოვეწონა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს მოსკოვში სტუმრად ჩამოსულმა ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ლიგის პრეზიდენტმა გ. სობეცკიმ (გფრ). — იმედი მაქვს, ტურნირის ბოლო დღეს კიდევ ორ საინტერესო მატჩს ვნახავ. (საკდესი).

● **ლისაბონი, 20 დეკემბერი.** (საკდესი). კლასიკურ ჭიდაობაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიგო ცსკა-ს გუნდმა, რომელმაც პორტუგალიის დედაქალაქში მიმდინარე ფინალურ შეჯიბრებაში დაამარცხა შვეციის „სუნდსული" და ბულგარეთის „ლევსკი-სპარტაკი".

საბჭოთა სპორტსმენები შეხვდნენ უკონკურსოდ მოასპარეზე პორტუგალიელ მოჭიდავეებს და დაამარცხეს ისინი ანგარიშით 8:2.

ტაშკენტში თავი მოიყარეს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა, რათა მეორე ტურის შეხვედრები გამართონ.

კვლავ წარმატებით იბრძვიან რიგის ტტტ-ს სპორტსმენები. მათ ჯერ ადგილობრივ სკიფს მოუგეს (86:63), შემდეგ კიევის „დინამო" დაამარცხეს (85:64) და დამაჯერებლად ლიდერობენ შეჯიბრებას.

გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) 74:62, ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 57:71, „დინამო" (კიევი) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 81:74, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) 73:94, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი" (პენზა) 85:68, „კიბირკშტისი" — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 83:74, „ურალმაში" — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 71:57, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — ცსკა 65:62, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი" 90:78, „დინამო" (მოსკოვი) — სკიფი 76:54, „სპარტაკი" (პენზა) — „ურალმაში" 66:65, „დინამო" (ნოვოსიბირსკი) — ცსკა 45:81, „უნივერსიტეტი" — „დინამო" (კიევი) 82:67, „სერპ ი მოლოტი" — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 74:103, „კიბირკშტისი" — სკიფი 69:70, „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 82:78.

შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ხუთი მატჩი.

სვერდლოვსკი. ქვეყნის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა — ლენინგრადის „სპარტაკმა" აქ იოლად დაამარცხა „ურალმაში" — 119:59. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ არზამასკოვი (19 ქულა) და მაკეევი (18), ხოლო მასპინძელთაგან — ივანოვი (14) და სმირნოვი (11).

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა" დაამარცხა ნიკოლაევის „სპარტაკი" — 94:80. კიეველთაგან თავი ისახელეს სალნიკოვმა — 36 ქულა და რიჟიკმა — 13. სპარტაკელთაგან — ლატიპოვმა (18) და ზაბროდამ (15).

მოსკოვი. ქვეყნის ჩემპიონმა — ცსკამ, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის, გუშინწინ ზედიზედ მეხუთე და ყველაზე ძნელი მატჩი მოიგო საკავშირო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორებთან, თანაქალაქელ დინამოელებთან — 109:104. მეორე ტაიმში იყო მომენტი, როცა არმიელები 21 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ დინამოელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და ბოლოსწინა წუთზე სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს. მშვენივრად თამაშობდა მათი ლიდერი ვ. ჟიგილიი, რომელმაც გუნდს 36 ქულა მოუტანა. არმიელებში საუკეთესო ბომბარდირი იყო ა. ქარმუხამედოვი — 24 ქულა.

კაუნასი. „ჟალგირისმა" უმასპინძლა რიგის არმიელებს. ბრძოლა დაძაბული იყო მხოლოდ პირველ ტაიმში, რომელიც მასპინძლებმა 4 ქულით მოიგეს. შესვენების შემდეგ კაუნასელებმა კიდევ უფრო გაზარდეს ტემპი და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 91:76.

მინსკი. რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა თავიდანვე შეუტიეს ტალინის „კალევის" სპორტსმენებს და დაამარცხეს მეტოქე — 87:64.

ახლა ჩემპიონატში ლიდერობს ლენინგრადის „სპარტაკი" — 7 ქულა 9 თამაშიდან, 6-6 ქულა მოაგროვეს კიევის „სტროიტელმა" და მოსკოვის „დინამომ" (პირველი დაუმარცხებლად იბრძვის, ხოლო მეორემ ეს ქულები 10 შეხვედრაში მიიღო). დაუმარცხებლად თამაშობენ მოსკოვის არმიელები — 5 ქულა. 4-4 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის „დინამო" (6 შეხვედრიდან), კაუნასის „ჟალგირისი" (9) და მინსკის რტი (7).

• • •



სურათზე: თამაშობენ საბჭოთა კალათბურთის ლიდერები — მოსკოვის არმიელები და ლენინგრადის სპარტაკელები.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

ჩვენი სპორტის ინტერესებისთვის

●

გვესაუბრება თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

გ. ყირმელაშვილი

●

პრობლემა ათასნაირი არსებობს. ყველა სფეროში, ყველა დარგში ვხვდებით სირთულეებს. ზოგი არც ისე ძნელი დასაძლევია, მაგრამ ისეთიც ბევრია, დიდი, გონიერული მიდგომა რომ სჭირდება და იოლადაც რომ ვერ გაართმევ თავს.

თბილისი მილიონიანი ქალაქია და რაღა თქმა უნდა, მასაც ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. დედაქალაქის ყველა პროფესიის ადამიანებს თავიანთი, ყველასგან განსხვავებული და გამორჩეული, სერიოზული და საშური საქმე აქვთ. მაგრამ არის ისეთი საქმე, რომელიც ყველა დარგის მუშაკებს აერთიანებს, რომელსაც ყველა თავისად მიიჩნევს. ამ პრობლემას ჩვენ ერის სატკივარი ვუწოდეთ თავის დროზე. ეს არის ჩვენი შვილების, მომავალი თაობის ჰარმონიულად აღზრდა, ფიზიკური და სულიერი წრთობა, გაჯანსაღება, გაკაჟება. ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა ამის შესახებ, მაგრამ სურათი, სამწუხაროდ, ჯერაც უცვლელია: „ზომაზე მეტად გასუქებული, უდროოდ ღიპდადებული ბიჭუნები და გოგონები, ანდა პირიქით, მხრებჩამოცვენილი, მოხრილ-მოკუზული, სუსტი და უსუსური" ბავშვები. ეს სიტყვები ამოკრებილია საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, დოცენტ **გივი ყირმელაშვილის** გახმაურებული წერილიდან „მივხედოთ ჩვენს შვილებს!..", რომელიც „ლელოს" ამა წლის 6 აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

დღეს სწორედ ამ წერილის ავტორთან საუბარს გთავაზობთ. მასთან შეხვედრა რომ გადავწყვიტეთ, კითხვები წინასწარ არ მოგვიმზადებია, ვფიქრობდით, რომ საუბარში პირველის შემდეგ ყოველი მომდევნო შეკითხვა თავისით დაიბადებოდა, მაგრამ საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ისე ამომწურავად, საინტერესოდ ლაპარაკობდა, ჩარევა საერთოდ ზედმეტად მივიჩნიეთ. ამიტომ, ამ საუბარს, რომელიც ეხება ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტის მტკივნეულ საკითხებს, მათ შორის ბავშვთა ფიზიკური განვითარების პრობლემასაც, თამამად შეიძლება ერთკითხვიანი ინტერვიუ ვუწოდოთ.

მაშ ასე, შეკითხვა პირველი და...

უკანასკნელი: რა ძირითადი პრობლემები დგას თბილისის სპორტკომიტეტის წინაშე?

მოგეხსენებათ, ფიზკულტურამ და სპორტმა ფართოდ გაშალა ფრთები და უდიდეს სიმაღლეებსაც მიაღწია. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მას დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს რესპუბლიკაშიც, განსაკუთრებით ბოლო წლებში. მაგრამ, არც ისე დიდი ხნის წინათ ფეხმოკიდებულმა მავნე მოვლენებმა სპორტშიც შეაღწია და საგრძნობლად შეაფერხა მისი წინსვლა. ასე რომ, დღეს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებს ბევრი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. ამ მხრივ დიდი მუშაობა მართებს ჩვენს კომიტეტსაც. ერთ საუბარში ამ პრობლემების ჩამოთვლაც კი გაგვიძნელდება, მაგრამ მაინც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საკითხი, რომლებიც ჩვენს მუშაობაში უმთავრესად მიმაჩნია. ისინი ოთხ პუნქტად შეიძლება დავყოთ: მოზარდთა საერთო ფიზიკური განვითარება, ბავშვთა სპორტი, დიდი სპორტი, მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მოსახლეობის ფართო ფენებში. ეს, როგორც მოგახსენეთ, გახლავთ ძირითადი, საკვანძო პრობლემები, რომლებსაც თბილისის სპორტკომიტეტმა უნდა უხელმძღვანელოს.

ახლა მოდით, ცალ-ცალკე განვიხილოთ და გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

მოზარდთა საერთო ფიზიკური განვითარება. დავიწყოთ იმით, რომ სკოლა მოზარდებს ფიზიკურად ისე ვერ ამზადებს, როგორც საჭიროა. ეს ძალზე მტკივნეული საკითხი დღემდე მოუგვარებელია. მიზეზი პირველ ყოვლისა ის გახლავთ, რომ ჩვენი სკოლები სათანადოდ არ არის კეთილმოწყობილი, არა აქვს შესაფერისი სპორტული ბაზები და თანამედროვე ინვენტარი. არასრულყოფილია სწავლების სისტემაც. აბა, რა გაჯანსაღებასა და ფიზიკურ აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ფიზკულტურას კვირაში მხოლოდ ორი 45-წუთიანი გაკვეთილი ეთმობა? ისიც გაითვალისწინეთ, რომ 10-10 წუთი ჩაცმა-გახდაზე იკარგება. კლასში ხშირად 40-45 მოსწავლეა და ზოგიერთი ბავშვი ერთხელაც ვერ ახერხებს სპორტულ იარაღთან მისვლას. ნორმალური გაკვეთილი იმას ნიშნავს, რომ 45 წუთი მაქსიმალურად, უდანაკარგოდ იყოს გამოყენებული, ხოლო ყველა ბავშვი — ერთნაირად დატვირთული. არასრულყოფილია სასწავლო პროგრამებიც. არის ისეთი სკოლები, სადაც ფიზკულტურის გაკვეთილებზე ერთდროულად სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები მეცადინეობენ. ამას ისიც ემატება, რომ ხშირად ჩვენი მასწავლებლების კვალიფიკაცია დაბალია. ნაკლის ჩამოთვლა სრული არ იქნება, თუ არ დავუმატებ, რომ სკოლებში საერთოდ ნაკლები ყურადღება ეთმობა მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. ეს კი, პირდაპირ უნდა ვთქვა, უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია. ბევრს ვცოდავთ მშობლებიც, სულ იმას ვცდილობთ, ბავშვები როგორმე გავათავისუფლოთ ფიზკულტურის გაკვეთილებიდან. შედეგი კი ის გახლავთ, რომ ბევრი უსაქმოდ დარჩენილი მოზარდი ადვილად ექცევა ქუჩის გავლენის ქვეშ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ჩვენი მოზარდების საერთო ფიზიკური განვითარების საშუალო მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება საერთო საკავშიროს; მშდ კომპლექსის ჩაბარების მხრივ კავშირში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე ვართ. საგანგაშოა სწორედ, რომ თბილისში მცხოვრებ მოსწავლეთა 90 პროცენტმა ცურვა არ იცის.

აი, ეს გახლავთ ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანი. თბილისის სპორტკომიტეტიც ყურადღების აქცენტს სწორედ აქეთკენ მიმართავს. ამ მხრივ უკვე გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები: ვამოწმებთ სასწავლო პროცესსა და მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას სკოლებში, სპორტული ბაზების მდგომარეობას. მაგალითად, აგვისტოში საცურაო აუზები შევამოწმეთ. ცხრა აუზიდან ხუთი დაკეტილი იყო, ხოლო ოთხი ქარხნების ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც ყველას არ უშვებენ. მოუვლელობითა და უპატრონობით გაპარტახდა და მწყობრიდან გამოვიდა განათლების სამინისტროს აუზი საირმის ქუჩაზე. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ უკვე დღეს საჭიროა ზრუნვა, რათა ზაფხულის პერიოდში ყველა წყალსაცავზე, ყველა საცურაო აუზში დაიწყოს ცურვის მასობრივი შესწავლა.

რას იწვევს ეს ყოველივე? მოზარდებში სულ უფრო ხშირად გვხვდება

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენი სპორტის ინტერესებისთვის

დასასრული

ხერხემლის გამრუდება, მხრებში მოხრილობა, საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა" ჰიპერტონია, გახშირდა ნერვულ-ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევები. ერთი სიტყვით, მოზარდების დიდი ნაწილი ფიზიკური განვითარების ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს. ახეთივე მდგომარეობაა სტუდენტებშიც.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ამჟამად დიდ ადგილს უთმობს მოზარდთა ფიზიკური განვითარების პრობლემებს და გვჯერა, ეს სულ მალე დადებით შედეგს მოგვცემს. სერიოზულ მიღწევად მიგვაჩნია ისიც, რომ თბილისის სპორტკომიტეტის წინადადებით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც დიდი ყურადღება ეთმობა მოზარდთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ამ მუშაობის მაჩვენებლები გათვალისწინებული იქნება ქალაქის რაიონებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თაოსნობა მაგალითად უნდა იქცეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქისთვის.

მეორე მტკივნეული საკითხია ბავშვთა სპორტის განვითარება. დღეს სპორტული მოთხოვნები იმდენად გაიზარდა, იმდენად მაღალია მაჩვენებლები სპორტის ცალკეულ სახეობებში, რომ კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ბავშვების გამოვლენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ რეზერვების ძიებას დიდი შემოქმედებითი შრომა სჭირდება, ვინაიდან ნიჭიერ ბავშვთა შერჩევის სისტემის საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელია. გარდა ამისა, მეცნიერულ დონეზე არ დგას წვრთნის მეთოდიკა. რესპუბლიკაში 100-ზე მეტი სპორტული სკოლაა, მაგრამ ბევრი მათგანი დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს. საქმეს ისიც ართულებს, რომ თბილისის რამდენიმე ათეულ სპორტსკოლას თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი ბაზა და ინვენტარი არა აქვს. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში არიან მორიგეები, მძლეოსნები, კალათბურთელები, ხელბურთელები, მოცურავეები, წყალბურთელები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ეს საკითხის ერთი მხარეა. მაგრამ რაც გვაქვს, იმას როგორღა ვიყენებთ? ვთქვათ პირდაპირ და მოურიდებლად — ვერ ვიყენებთ ისე, როგორც საჭიროა!

არც მწვრთნელთა კადრების საქმე გვაქვს კარგად. ზოგიერთი მწვრთნელის კვალიფიკაცია მეტად დაბალია. ხშირად ისინი ორ-სამ ადგილზე მუშაობენ ერთდროულად. ისევ გვხვდება მიწერების, თვალის ახვევის ფაქტები. საქმის წინსვლას ისიც აფერხებს, რომ თითქმის არ ხდება ძიება პერიფერიებში. აღსანიშნავია ისიც, რომ სულ მივივიწყეთ სპორტის ეროვნული სახეობები. გარდა ამისა, ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების საქმიანობების საკითხიც. აი, ასეთი მდგომარეობაა ამჟამად, მაგრამ, როგორ გარდავქმნათ, როგორ გავაუმჯობესოთ მუშაობა? ვფიქრობ, მთავარია, რომ ბავშვებთან ვამუშაოთ ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები, მაღალი ზნეობის ადამიანები. სპორტი დიდი ხანია ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებს გასცდა. სულ უფრო გახშირდა ჩვენი სპორტსმენების ვიზიტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამდენად, ჩვენ, მათს აღმზრდელებს, დიდი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაც გვიწევს; თბილისის სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომებზე სისტემატურად განვიხილავთ ბავშვთა სპორტის მდგომარეობას, ვიბრძოლებთ ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ.

რაც შეეხება დიდ სპორტს, მისი დონე ბავშვთა სპორტის განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული. ცალკეული მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, მდგომარეობა ჯერ კიდევ არასახარბიელოა. სპორტის რიგ სახეობებში შედეგები წლითიწლობით უარესდება. მიზეზი ისევ ბაზების მწვავე ნაკლებობასა და წვრთნის მოძველებულ მეთოდიკაში უნდა ვეძებოთ. მწვრთნელი პირველ ყოვლისა პედაგოგი, ფსიქოლოგი, ღრმა ცოდნით შეიარაღებული მაღალინტელექტური პიროვნება უნდა იყოს. ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს სპორტი ინტელექტების ჭიდილია, თეორიული, პრაქტიკული ცოდნისა და მეცნიერების სინთეზია, რომელსაც კარგად იყენებენ მთელ რიგ ქვეყნებში და ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში. ასეა მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის სპორტული მიღწევებიც დღითი დღე მატულობს, ასეა ბელორუსიაში და სხვა რესპუბლიკებში, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხში თავისი სიტყვა ჯერ არ უთქვამთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს.

როგორც ხედავთ, პრობლემა საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია.

და მაინც, ცალკე უნდა გამოვყოთ მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხი. ტექნიკურმა პროგრესმა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ ადამიანებს სიკეთესთან ერთად დიდი თავსატეხიც გაუჩინა. მოძრაობითი აქტიეობის დაქვეითება საუკუნის სენი გახდა. აბა რად გვინდა ნიჭიერი მათემატიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი, საერთოდ მოქალაქე, თუ ის დაავადმყოფებული, დაჩიავებული იქნება? სწორედ ამიტომ, ყოველი თავისუფალი წუთი, ყოველი შესვენება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მოსახლეობის ფართო ფენებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისთვის. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანმრთელობის სპარტაკიადებს.

ქალაქის სპორტკომიტეტი სისტემატურად ატარებს ამგვარ სპარტაკიადებს საწარმო-დაწესებულებებს შორის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ვფიქრობთ, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მოსახლეობის გაჯანსაღების ისეთი საშუალება, როგორიცაა ტურიზმი. რაიონულმა აღმასკომებმა, საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას უშუალოდ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით — ამ საკითხს დიდი ადგილი დაეთმო ჩვენი პარტიის XXV ყრილობაზე, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ რაც შეიძლება მეტი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოეწყოს წარმოება-დაწესებულებებისა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, სხვათა შორის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ამასწინანდელი დადგენილების შემდეგ უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. დადგენილებაში პირდაპირ რაიონების მიხედვით არის მითითებული ის ადგილები, სადაც უნდა აშენდეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. დანიშნულია მშენებლობის ზუსტი ვადები.

საჭიროა ზრუნვა მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის აგიტაცია-პროპაგანდის ფართოდ გაშლისთვის. დღეს ხშირად ამა თუ იმ შეჯიბრებათა ჩატარების დონე, ესთეტიკური მხარე, კულტურა დაბალია. ჩვენ გვინდა ქალაქს ჰქონდეს თავისი სპორტული ემბლემა, ვიმპელი, მედალი, სამკერდე ნიშანი. უკვე შევქმენით სპორტის აგიტაცია-პროპაგანდის ფედერაცია, რომელსაც „მართვეს" რედაქტორი, სპორტის ოსტატი არჩილ გოგელია ხელმძღვანელობს.

ახლა კი ორიოდე სიტყვა თბილისის სპორტკომიტეტის მუშაობის შესახებ. წლების მანძილზე ამ სპორტკომიტეტის, როგორც ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი ორგანოს მნიშვნელობა და უფლებები თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მას არ ჰქონდა სპორტული ფორმისა და ინვენტარის საკუთარი ფონდი. გეგმით გათვალისწინებული ბიუჯეტი შეჯიბრებათა მესამედსაც კი ვერ სწვდება. კომიტეტს, რომელიც წელიწადში სამასზე მეტ საკავშირო, რესპუბლიკურ თუ საქალაქო შეჯიბრებას ატარებს, არა აქვს თავისი სპორტული მომარაგების განყოფილება, სამშენებლო უბანი. მას არ ჰქონდა საკუთარი ზღვრული ასიგნებანი და სხვა. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის სპორტსმენთა 80 პროცენტი თბილისზე მოდიოდა.

ახლა მდგომარეობა თანდათან სწორდება. ვფიქრობ, ახლო მომავალში ყველაფერი რიგზე იქნება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის სპორტკომიტეტთან ერთად დიდ დახმარებას გვიწევენ პარტიის საქალაქო კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად თბილისს სულ მოკლე ხანში მრავალი სპორტული ბაზა დაამშვენებს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მაინც არ იქნება საკმარისი. აუცილებელია ვაშენოთ რაც შეიძლება მეტი სპორტული მოედნები, არც ერთი ეზო, არც ერთი უბანი არ უნდა დარჩეს ისეთი, სადაც თუნდაც თითო კალათბურთის ფარი ან მინი-ფეხბურთის კარები არ დაიდგმება. ეს ჩვენ შეგვიძლია. მთავარია, გვაფიქრებდეს ჩვენი ახალგაზრდების მომავალი, გვიყვარდეს ახალგაზრდობა, ისე, როგორც უყვარს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 8 სამშენებლო ტრესტის მმართველს ივანე ყიფიანს, რომლის დაუღალავი შრომის შედეგადაც თბილისს ოთხი ახალი ჩოგბურთის კორტი შეემატება, ისე, როგორც უყვარს კინოსტუდიის მულტფილმების მთავარ მხატვარს ავერიან ხუსკივაძეს, რომელიც სამოცდაათამდე მოზარდს ყოველდღიურად უანგაროდ ავარჯიშებს ძალოსნობაში, მუშა ალექსანდრე ბორტნიკოვს, რომელმაც 152-ე საშუალო სკოლის სპორტულ ბაზაზე საკუთარი სახსრებითა და მარჯვენით რინგი მოაწყო და მოზარდებს ავარჯიშებს. მთავარია მონდომება და ამ საშვილიშვილო საქმის სათანადოდ დაფასება.

ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ბევრია. ყველაფერს ხელის ერთი მოქნევით არ ეშველება, მაგრამ გვჯერა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ქართულ სპორტშიც ვიგრძნობთ შედეგებს იმ ძვრებისას, რაც რესპუბლიკის მთელ რიგ დარგებში ხორციელდება. არა გვაქვს უფლება არ გავაკეთოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელობა, ჩვენი პარტია და ჩვენი სინდისი.

საუბარი ჩაიწერეს ლ. ბერაშვილმა და დ. ბელიძემ.



როგორც უკვე ვიუწყებოდით, ლენინგრადში მწყობრში ჩადგა უნიკალური სპორტული ბაზა — დახურული საფეხბურთო სარბიელი. ახალი მანეჟის სიგრძე 159 მეტრია, სიგანე — 72, სიმაღლე — 20. მთავარ დარბაზში მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტის შესაფერი საფეხბურთო მინდორი — 100×62 მ.

ახალი მანეჟი ლენინგრადის პირველი ოლიმპიური ნაგებობაა. 1980 წელს სწორედ ამ ქალაქში ჩატარდება ფეხბურთელთა ოლიმპიური ჯგუფური შეჯიბრებები.

1980 წლის ოლიმპიადისთვის

სურათებზე: ახალი უნიკალური საფეხბურთო მანეჟის საერთო ხედი; სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ლენინგრადის „ზენიტთან" შეხვედრაში ამოწმებს ახალ მინდორს.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.

მწვავე სიგნალი

ვიდრე გვიან არ არის...

ბალახის ჰოკეის ჩვენში დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ ქართველმა ენთუზიასტებმა სპორტის ამ სახეობაში უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს. ქუთაისის გუნდმა, მაგალითად, მტკიცედ მოიკიდა ფეხი პირველ ლიგაში, ხოლო თბილისისა და ბათუმის კოლექტივებმა — ზონალურში.

შაიბიანი ჰოკეის ახალგაზრდული რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდის ყოფილმა წევრმა გ. ქობელაშვილმა გადაწყვიტა რუსთავში ჩამოეყალიბებინა იუნიორთა (1960-61 წლებში დაბადებულნი) კოლექტივი, რათა საქართველოს ნაკრებს რეზერვი ჰყოლოდა. მისი თაოსნობა მოიწონეს მეტალურგთა ქალაქის სპორტის ენთუზიასტებმა, „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" № 1 ტრესტის მესვეურებმა. მათი დახმარებით გამოიყო სავარჯიშო ადგილი, ოთახი გასახდელისთვის. 35 კანდიდატიდან შეარჩიეს 17 ბიჭი და მწვრთნელიც შეუდგა მუშაობას. დაოსტატების მიზნით ახალგაზრდა სპეციალისტი საკავშირო სემინარებზე გაგზავნეს ჯერ ბაკურიანში, ხოლო შემდეგ მოსკოვში, სადაც საერთაშორისო ფედერაციის წევრის ლეონარდ ჯონსისა და ამ სახეობაში ინგლისელთა მთავარი მწვრთნელის ჯონ კედმენის ლექციებს ისმენდა. სემინარებიდან დაბრუნებული გ. ქობელაშვილი ახალი ენერგიით შეუდგა მუშაობას. შეადგინა წვრთნის გეგმები, ნახაზები მოედნისა და კარებებისთვის, რომლებიც საგულდაგულოდ შეინახეს რუსთავის „მექანიკური ქარხნის..." სეიფში.

ვიდრე გვიან არ არის, ვიდრე ენთუზიასტებს ბალახის ჰოკეის სიყვარული არ განელებიათ, მათ ახლავე უნდა მიხედონ რუსთავის სპორტკომიტეტმა, ორგანიზაციებმა. გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია. გუნდი „სპეცმშენის" ტერიტორიაზე არსებულ პატარა, უსწორმასწორო მინდორზე ვარჯიშობდა. გასახდელად საცურაო ბაზის ერთ-ერთ უვარგის, ფანჯრებჩალეწილ და უკარო ოთახს იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი და მომავალი სპორტსმენები იხტიბარს არ იტეხდნენ, თვითონვე ცდილობდნენ მინდვრისა და ოთახის შეკეთებას, ბაზის შექმნას. მაგრამ... აგერ თითქმის ერთი თვეა, რაც გუნდი დაითხოვეს ტერიტორიიდან.

თუ გვინდა, რომ სპორტის ამ მიმზიდველმა სახეობამ ზურგი არ შეგვაქციოს, დროულად უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი რუსთაველ ენთუზიასტებს. ზ. ტორიაშვილი.

კვალიფიკაცია ამაღლეს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა თელავში რაიონის ფიზაღზრდის მასწავლებელთა ერთთვიანი კურსები მოაწყო. მეცადინეობის ძირითადი თემა იყო 1976-1977 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურის სწავლების ახალ პროგრამებზე გადასვლა.

პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები ჩაატარეს გამოცდილმა პედაგოგებმა შ. მუხიგულაშვილმა, გ. მჭედლიშვილმა, ვ. კიკნაძემ, ო. საქუაშვილმა, ა. ასპანაშვილმა და გ. შამვიაშვილმა. სულ კვალიფიკაცია 26 პედაგოგმა აიმაღლა.

გ. ელიოზიშვილი.
(ჩვენი კორ.).

თელავი.

[illegible]

✦ აბაშა

დაძაბული იყო გაზეთ „განახლებული აბაშის" თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოდაწესებულებათა 13 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აბაშის ავტოსატრანსპორტო საწარმოს და საქსოვი ფაბრიკის გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ავტოტრანსპორტელებმა (დირექტორი ლ. ჩოჩია, მწვრთნელი ო. ჰანტურია), რომლებსაც გადაეცათ საპატიო პრიზი.

რ. ჭანტურია.

ჭიდაობა მცხეთაში

აკვნესდა ზურნა, მისი ხმა
ქსოვდა ბებერ ნატახტარს
და არენაზე უეცრად
ორი ფოცხვერი გადახტა!
შუაკაური,
კისრული,
მოგვერდი,
გარეკაური!
ისევ კისრული,
ჩაკრული,
ფანდების აურზაური!
ბოლოს ადგილი მოზომა
ერთ-ერთის ლეგა ბეჭებმა,
შეჩერდა ყველა ანაზდად,
დოლ-ზურნაც უცბად შეჩერდა!
წამოდგა დამარცხებული,
არც ბოლმა ჰკლავდა,
არც ურვა...
მივიდა, გადაეხვია
ფოცხვერი ფოცხვერს
კაცურად!

გ. მეტრეველი,
სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.



მეტი ყურადღების ღირსია

ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა, რაც სპორტის სასახლეში მოსულმა გულშემატკივრებმა და ჭიდაობის სპეციალისტებმა განიცადეს.

...ანგარიში იყო 4:4. ძიუდოში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ბოლო შეხვედრას უნდა დაესახელებინა. ტატამზე საქართველოს და რსფსრ-ს გუნდის წევრები ჯიბილო ნიჟარაძე და ვლადიმერ კლივოდენკო გამოიძახეს. მე-3 წუთზე ნიჟარაძემ შეცდომაზე „დაიჭირა“ მეტოქე და შეხვედრა წმინდად მოიგო. ამ გამარჯვების წყალობით საქართველოს ძიუდოისტებმა პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი.

მაყურებლები დიდხანს უკრავდნენ ტაშს ნიჟარაძეს და მის თანაგუნდელებს. ორი დღის მანძილზე ტატამზე იმდენი საინტერესო შეხვედრა მოეწყო, რომ ყველა სპეციალისტი ბევრს შეიძენდა მათი ხილვით. აღარას ვამბობთ ახალგაზრდა მოჭიდავეებზე, რომლებისთვისაც ეს შეჯიბრება ნამდვილი სკოლა იყო. ამჟამად საქართველოს ბევრ რაიონშია გახსნილი ძიუდოს ჯგუფები. ახალგაზრდები ხალისით მეცადინეობენ ამ სექციაში, მაგრამ დახმარებაც სჭირდებათ. ჩვენ კი მათ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება — სსრ კავშირის თასის გათამაშება არ ვუჩვენეთ ტელევიზიით და ბევრიც დავაკელით.

ბევრჯერ მომისმენია საყვედური როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონების, ისე თბილისის მცხოვრებთაგან. მათი აზრით, ჭიდაობას უფრო მეტ რეკლამას უნდა უწევდეს ტელევიზია, თუ გვსურს, რომ საქართველოს კვლავაც ეძახდნენ ფალავნების ქვეყანას.

ო. შოშიტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეს ხომ ჩვენი პირდაპირი ვალია!

ანუ რამდენიმე სიტყვა ქართული ჭიდაობის პროპაგანდის საკითხებზე

„ლელო“
ინტერვიუ

მიმდინარე წლის დამლევს, უფრო ზუსტად, 24-26 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება რესპუბლიკის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ტურნირი, რომელიც ტრადიციულად ჭიდაობის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს, წლეულს ახალი ფორმულით ეწყობა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ჩვენი კორესპონდენტის ნ. ბუგუშვილის საუბარი საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს უფროსთან ვახტანგ ბალავაძესთან და ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორთან ვახტანგ კუხიანიძესთან.

კორესპონდენტი: თავდაპირველად, გთხოვთ, რამდენიმე სიტყვა გვითხრათ სიახლეებზე. ქართული ჭიდაობის მოყვარულები ტრადიციების მიმდევარი ხალხია და ადვილი შესაძლებელია ამ სიახლეებს სკეპტიკურად შეხვდნენ, თუკი მათი შემოტანა აუცილებლობით არ არის ნაკარნახევი. რას იტყვით ამის თაობაზე?

ვ. ბალავაძე: მართლაც, სპორტის არც ერთ სახეობას არა ჰყავს ისეთი ორთოდოქსალური მიმდევრები, როგორიც ქართულ ჭიდაობას. ისიც მართალია, რომ გაუმართლებელი რეფორმები ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს ჭიდაობას. ეს ყველაფერი გავითვალისწინეთ, გავაანალიზეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ქართული ჭიდაობა ერის ჯანსაღი ტრადიციაა და ხალხი სათუთად ინახავს ამ ტრადიციების სიწმინდეს. ამიტომ, ვფიქრობთ, სიახლეები მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საყვარელ ჭიდაობას.

ვ. კუხიანიძე: ნათქვამს დავსძენ იმასაც, რომ ჩვენი ძირითადი მიზანი იყო უცვლელი დაგვეტოვებინა ქართული ჭიდაობის ხასიათი, მისი არსი და შინაგანი ბუნება. რეფორმები უმთავრესად ორგანიზაციულ მხარეს შეეხო. ამიტომაც ვფიქრობთ, სიახლენი უფრო გაახალისებს ჭიდაობას!

ვ. ბალავაძე: უწინდელი ტურნირებისგან განსხვავებით წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონატი ორ წონით კატეგორიაში ჩატარდება. ეს არის ძირითადი სიახლე. პირველ ჯგუფში იასპარეზებენ ფალავნები, რომელთა წონა 75 და 90 კილოგრამს შორის მერყეობს. მეორე ჯგუფში კი გაერთიანდება ყველა მძიმე და ზემძიმე წონის ათლეტი.

ვ. კუხიანიძე: ამ სიახლეს, ჩემი აზრით, დიდი განმარტება არც სჭირდება. წინათ აბსოლუტურ ჩემპიონატებში მონაწილეთა პირობები ერთობ უთანაბრო გახლდათ. ზოგჯერ ფალავანს დიდი სურვილი ჰქონდა გამოეცადა ხერხი და ღონე ღირსეულთა ასპარეზობაში, მაგრამ მისი სურვილი და სითამამე იმთავითვე განწირული იყო. წონებში განსხვავება მას ამის საშუალებას არ აძლევდა. ახლა კი ეს საშიშროება აღარ არსებობს. შესაბამისად გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა და გათანაბრდა მეტოქეთა შანსები.

კორესპონდენტი: მაგრამ აბსოლუტური ჩემპიონატის მიზანი ხომ ერთადერთი უძლიერესის დადგენაა? აქ კი, როგორც ჩანს, ყოველ ჯგუფს თავისი ფალავანი ეყოლება. ხომ არ ირღვევა ამით აბსოლუტური შეჯიბრების მთავარი პრინციპი?

ვ. ბალავაძე: საქმე ის გახლავთ, რომ ჯგუფური ტურნირები საერთო ჩემპიონატის ერთი ნახევარია მხოლოდ, ასე ვთქვათ, მისი წინასწარი ეტაპი, ამ შეჯიბრებაში პირველ ექვს ადგილზე გასულნი — სულ თორმეტი მოჭიდავე — ახალ ფინალურ ჯგუფს შექმნიან და საპატიო ტიტულისთვის ბრძოლაც ახალი ძალით გაჩაღდება. მაგრამ ორ ფალავანს უკვე შეჯიბრების პირველივე ეტაპი გამოავლენს. ჯგუფებში გამარჯვებულთ ავტომატურად მიენიჭებათ ეს წოდება. ხოლო ის მოჭიდავე, რომელიც წარმატებას მიაღწევს შეჯიბრების ფინალურ ნაწილში, ფალავანთა ფალავნის სახელით მოინათლება.

ვ. კუხიანიძე: მოასპარეზეთა წახალისების მიზნით განსაკუთრებით გამორჩეულნი სპორტის ოსტატის წოდებას მიიღებენ ქართულ ჭიდაობაში. ამ წოდებას მიანიჭებენ ჯგუფებში პირველ-ექვს ადგილზე გასულ სპორტსმენებს, თუ მონაწილეთა რაოდენობა ყოველ ჯგუფში თორმეტზე ნაკლები არ იქნება. ამავე დროს, სულ ცოტა, სამი მოჭიდავე მაინც უკვე უნდა იყოს სპორტის ოსტატი.

კორესპონდენტი: არის თუ არა კიდევ სხვა რაიმე სიახლე?

ვ. ბალავაძე: შეტანილია ცვლილებები შეჯიბრების წესებშიც. მაგალითად, ამიერიდან ბრძოლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ხუთი წუთი წმინდა დროით. ამ რეფორმის მიზანია პასიურობისა და სხვა არასპორტული საქციელის წინააღმდეგ ბრძოლა.

ვ. კუხიანიძე: შემოვიღეთ ცალკეულ შეხვედრათა შეფასების ახლებური სისტემა. მოჭიდავე, რომელიც აქტიურად ჩაატარებს ბრძოლას, მაგრამ მაინც დამარცხდება, უფრო ცოტა საჯარიმო ქულას მიიღებს, ვიდრე წინათ. ხმარებიდან ამოღებულია ფრე. ყოველ შეხვედრაში ერთ-ერთ მონაწილეს უსათუოდ უნდა მიეკუთვნოს გამარჯვება. თუ ბრძოლის განმავლობაში ვერც ერთი მხარე ვერ მიიღებს სრულფასოვან ქულას, უპირატესობა უფრო აქტიურ მოჭიდავეს მიენიჭება.

კორესპონდენტი: როგორც ჩანს, ამ სიახლეებს მართლაც ექნებათ პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგრამ ქართული ჭიდაობის პროპაგანდა და პოპულარიზაცია მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათის რეფორმებით არ უნდა შემოიფარგლოს. ამ მიმართებით უფრო არსებითი ნაბიჯებია გადასადგმელი. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ვ. ბალავაძე: არსებობს საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის დადგენილება ჭიდაობის ეროვნული და კლასიკური სახეობების განვითარების შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც საკითხის წარმატებით გადაჭრის კონკრეტულ ამოცანებს სახავს. სამწუხაროდ, კოლეგიის დადგენილების ქმედითობა ბევრ რაიონსა და ორგანიზაციას ბოლომდე არა აქვს შეგნებული.

ვ. კუხიანიძე: კონკრეტულად რას მოითხოვენ ზემდგომი ორგანოები? პირველ ყოვლისა მარტივი ტიპის საჭიდაო მოედნების შექმნას სკოლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში... ასეთი მოედნების მშენებლობა ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. რაიონებში ენთუზიასტებს რა გამოლევს. ჰოდა, საჭიროა მათი შემოქმედებითი აქტივობის წარმართვა და საქმეც მყარ ნიადაგზე დადგება.

ვ. ბალავაძე: მით უმეტეს, რომ ამისი ცალკეული მაგალითები უკვე გვაქვს. ქარელის, კასპის, ხაშურისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სოფლებში შეძლეს მარტივი ტიპის საჭიდაო მოედნების მოწყობა. ახალგაზრდობა ხალისით ეტანება სპორტს და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. რატომ არ შეიძლება ზემოაღნიშნული რაიონების გამოცდილება სხვებმაც გადმოიღონ? მით უმეტეს, რომ მათ ეს ევალებათ კიდეც. აქ, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს დანაშაულებრივ გულგრილობასა და უყურადღებობასთან, რაც უმოკლეს დროში უნდა აღმოიფხვრას. საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის დადგენილება სავალდებულო დოკუმენტია ყველასთვის და ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას უმკაცრესი კონტროლი სჭირდება.

კორესპონდენტი: ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ძალით ჩქეფდა წინათ საჭიდაო ცხოვრება კახეთის რაიონებში. ახლა იქ სრული სიმყუდროვე სუფევს. არადა, სწორედ კახეთის რაიონებმა მისცეს ჩვენს ჭიდაობას ბევრი გამორჩენილი ოსტატი.

ვ. ბალავაძე: მე კიდევ უფრო დავაკონკრეტებ თქვენს ნათქვამს და ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს მოვიყვან საგარეჯოს რაიონის მაგალითზე. ამ რაიონში აღიზარდა ჭიდაობის ბევრი უბადლო ოსტატი — არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი, გივი ონაშვილი, ანზორ ზურაბაული, სპარტაკ ქარსაულიძე, ბიჭიკო მარიდაშვილი, ძმები ელერდაშვილები, ძმები კევლიშვილები და ბევრი კიდევ სხვა. ისინი, ყველანი, დიდ სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდნენ. ქართულმა ჭიდაობამ შეუქმნა საფუძველი მათს ოსტატობას. ახლა კარგა ხანია საგარეჯოს ამ რანგისა კი არა, უბრალო ოსტატებიც არ აღიზრდია. ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც. რაიონებს ვინ ჩივის, თბილისში, სადაც უამრავი მწვრთნელი და სპეციალისტია თავმოყრილი, ქართული ჭიდაობის არც ერთი სექცია არ მუშაობს. განა ეს დასაშვებია? პირდაპირ გასაკვირია, რას ფიქრობენ სპორტსაზოგადოებები (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „კოლმეურნე“), რა გზით აპირებენ ისინი ქართული ან, საერთოდ, ჭიდაობის განვითარებას?

ვ. კუხიანიძე: გახსოვთ ალბათ, რომ შარშან მინსკში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატები ჭიდაობის კლასიკურ სახეობებში. მოჭიდავეთა ამ დიდ ფორუმს ესწრებოდა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მილან ერცეგანი. საპატიო სტუმარმა სურვილი გამოთქვა საკუთარი თვალით ენახა ჩვენი ქვეყნის მდიდარი საჭიდაო ფოლკლორი. ეს თხოვნა პრეზიდენტს შეუსრულეს და იცით, რა გამოირკვა? ქართული ჭიდაობა თავისი შინაარსითა და შინაგანი ბუნებით ყველაზე ახლოს ყოფილა ჭიდაობის კლასიკურ სახეობებთან. ეს ჩვენ მანამდეც კარგად ვიცოდით, მაგრამ ამ აზრის მოსმენა პრეზიდენტისგან ერთიორად სასიამოვნო იყო. ერცეგანს მოეწონა ქართული ჭიდაობის რაინდული სული, ილეთთა მრავალფეროვნება... მან ყველას ურჩია უფრო დაკვირვებითა და ყურადღებით შეესწავლათ ქართული ჭიდაობა.

ვ. ბალავაძე: იაპონელებმა ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინეს, როცა მსოფლიოს თავს მოახვიეს ეროვნული ჭიდაობა — ძიუდო. ერცეგანის აზრით, ქართულ ჭიდაობას გარკვეული უპირატესობა აქვს ძიუდოსთანაც და სამბოსთანაც. ამას ამბობს და ამჩნევს უცხოელი სპეციალისტი, ჩვენ კი, ვისაც სისხლსა და ხორცში გვაქვს გამჯდარი ქართული ჭიდაობა, რაღაც გაუგებარ ინერტულობას ვიჩენთ ბუნების მიერ ნაბოძები საჩუქრისადმი. დროა ამ უთავობას ბოლო მოეღოს. დროა ყველამ შევიგნოთ, რომ ეროვნულ სიმდიდრეს მოვლა უნდა და პატრონობა. დროა ბოლოს და ბოლოს გავიგოთ, რომ ქართული ჭიდაობა, ყველა ჭიდაობის საფუძველთა საფუძველია და მუშაობაც იმგვარად წარვმართოთ, რომ უცხოელმა სპეციალისტმა არ გვასწავლოს ჭკუა.

კორესპონდენტი: რა უნდა გაკეთდეს ამ მიზნით?

ვ. კუხიანიძე: აქ უკვე ითქვა, რომ სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარება მნიშვნელოვანწილად მასობრიობაზეა დაფუძნებული. სწორედ ამიტომ, ჩვენი უახლოესი მიზანია მასობრივი გავხადოთ ქართული ჭიდაობა. ამისთვის კი საჭიროა, ყველგან, სადაც კი შესაძლებლობა არსებობს, მოვაწყოთ უმარტივესი ტიპის საჭიდაო წრეები. ახალგაზრდობას უამრავი თავისუფალი დრო რჩება. ამ დროს იგი ხალისით გამოიყენებს იმისთვის, რომ შეეჯიბროს თანატოლს ხერხსა და ღონეში. შაბათსა და კვირას სოფლებში არ უნდა წყდებოდეს ზურნისა და დოლის ხმა.

ვ. ბალავაძე: კიდევ ერთი დეტალი: ქართულ ჭიდაობას იმთავითვე ჰყავდა გამორჩეული ენთუზიასტები. ისინი ახლაც ბლომად არიან, მაგრამ, ვერ გრძნობენ რა ხელშეწყობასა და მხარდაჭერას ადგილობრივი ხელმძღვანელებისაგან, რაღაც ჩრდილში მოექცნენ. ჩვენი ვალია ყოველმხრივ დავეხმაროთ ამ ენთუზიასტებს, წარვმართოთ მათი ენერგია და მონდომება საყვარელი საქმის აღორძინების გზით. დამერწმუნეთ, ამით მოიგებს ყველა, პირველ ყოვლისა კი — სპორტი.

კორესპონდენტი: მე თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილი ვარ და კარგად მახსოვს იქ გამართული ტურნირები ფალავნობაზე. ასეთი სახის შეჯიბრებები, ჩემი აზრით, ბრწყინვალე პროპაგანდაა სპორტისა, ამ შემთხვევაში ქართული ჭიდაობისა.

ვ. ბალავაძე: დიახ, ასეა და სწორედ ამიტომაც მოვუწოდებთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, სკოლებს, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს აქტიურად ჩაებან სპორტის ეროვნულ სახეობათა პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეში. ამას წინათ ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დედაენის სახელოვანი იუბილე. ქართული ჭიდაობა — ჩვენი ეროვნული სპორტის დედაენაა და მისი შებღალვის უფლებას არავის მივცემთ. სხვათა შორის, როცა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატის მთავარი მსაჯობა ჩვენს სახელოვან მამულიშვილს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს შევთავაზეთ, იგი უყოყმანოდ დაგვთანხმდა. ბატონი ნიკო დიდად დაკავებული მეცნიერია, მაგრამ, როცა ეროვნული სპორტის პროპაგანდას ეხებოდა საქმე, მან ყველაფერი განზე გადადო. და თუ ბატონი ნიკო პოულობს საამისო დროს, რა გვეთქმის ჩვენ, ამ დარგის სპეციალისტებს, ვის ნამუსზეც არის მიტოვებული ქართული ჭიდაობა? დააკვირდით ამას — რაოდენ პასუხსაგები ვალი აკისრია ყოველ ჩვენგანს!

აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის

20 დეკემბერს მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობა კრივში. წლევანდელი ტურნირი რიგით მეცხრეა. პირველი ამგვარი ასპარეზობა ჯერ კიდევ 1936 წელს მოეწყო. მაშინ გამარჯვება ხვდა მძიმე წონის ათლეტს ნ. კოროლიოვს, რომელმაც აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა 1937, 1944 და 1945 წლებშიც. 1939 წელს პირველი იყო ქვემძიმე წონის მოკრივე ვ. მიხაილოვი (წლევანდელ შეჯიბრებაზე იგი საპატიო მთავარ მსაჯად მიიწვიეს). 1943 წელს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა საშუალო წონის ათლეტი ა. ოგურენკოვი.

1974 წელს ყოველკვირეულ „ნედელიას“ რედაქციის თაოსნობით ეს პოპულარული შეჯიბრება განახლდა. იმავე წელს გამარჯვება მოიპოვა ი. გორსტკოვმა. შარშან ყველას აჯობა პ. ზაევმა, რომელმაც ფინალში გორსტკოვი დაამარცხა.

ახლა ორივე ათლეტი სხვა 18 სპორტსმენთან ერთად იბრძვის ოქროს მედლისა და „ნედელიას“ პრიზისთვის. ტურნირში მონაწილეობენ 20 წელს გადაცილებული სპორტსმენები, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ერთ ჯგუფში თავი მოიყარეს 81-დან 90 კგ-მდე, ხოლო მეორეში — 90 კგ-ს ზევით წონითი კატეგორიების ათლეტებმა. ასპარეზობის რეფერია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ენგიბარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაიმი, მერე როგორი!

სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში 15 ტურის შემდეგ ა. კარპოვსა და ი. ბალაშოვს 10-10 ქულა აქვთ, ლ. პოლუგაევსკის — 9, ტ. პეტროსიანს — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტალს, ვ. სმისლოვს, ი. დორფმანს — 8-8.

XV ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა — კარპოვ-პოლუგაევსკის პარტია 17 სვლაში ყაიმით დამთავრდა. მაგრამ ეს არ იყო „დიდოსტატური ყაიმი". მეტოქეებმა დებიუტშივე (მერანის დაცვა) მწვავე ტაქტიკური ბრძოლა გააჩაღეს, ორივე მეფე სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაფაზე დინამიკური წონასწორობა რომ შეიქმნა და შემდგომი თამაში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, პარტნიორები დაზავდნენ.

როგორც კი ეს პარტია დამთავრდა, ბალაშოვმა ზავი შესთავაზა დორფმანს. პოზიცია თანაბარი იყო და არც დორფმანს უნდოდა ბედის გამოცდა. მან წინადადება მიიღო.

პეტროსიანი კი მოგებაზე თამაშობდა ო. რომანიშინთან. მან ისე განალაგა ფიგურები, რომ თავისი ორი კუს შესაძლებლობა ათმაგად გაზარდა. მერე სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ხარისხი შეიძინა და პარტია მოსაგებ დაბოლოებაში გადადო.

ე. გელერი და მ. ტალი ყაიმს დასჯერდნენ. პირველი აშკარად უგებდა სმისლოვს, მაგრამ ცაიტნოტში დაკარგა უპირატესობა. თავიდან ტალსაც უპირატესობა ჰქონდა მ. ტაიმანოვთან, მაგრამ იგი როგორღაც შემოადნა ხელში.

კონტრიერიში, ისიც მეტოქის ცაიტნოტში, დიდი ძალაა. ეს ბ. გულკომაც იგრძნო, როცა კ. გრიგორიანმა მისი მეფის ფრთა გაარღვია. ინიციატივის განვითარებით გრიგორიანმა გაიმარჯვა კიდეც.

ს უ რ ა თ ზ ე: ჩემპიონატის ლიდერები (მარცხნიდან) — მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, დიდოსტატები ტ. პეტროსიანი და ი. ბალაშოვი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

სეზონში უკანასკნელი...

ყველა შეჯიბრებას, საქალაქო იქნება ის, რესპუბლიკური თუ საკავშირო, თავისი დანიშნულება, თავისი მიზანი აქვს. ზოგი რაიმე დიდი ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია, ზოგი კი გარკვეულ პერიოდში გაწეული მუშაობის ერთგვარი შეჯამებაა. გუშინ თბილისში დაიწყო ტრადიციული საკავშირო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში (ტექნიკური სახეობები) საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზზე, რომელიც შესაჯამებელი ხასიათისაც არის და მომავალი დიდი შეჯიბრებებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპადაც ითვლება. სამწუხაროა, რომ სასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ ყაზახეთის, ლენინგრადისა და ლატვიის გუნდები. ტურნირში მათი მონაწილეობა დაგეგმილი იყო.

გუშინ სარბიელზე სომხეთისა და საქართველოს უძლიერესი ხუთჭიდელები გამოვიდნენ. სომხეთის მთავარ გუნდს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატი ს. აღლაძე ლიდერობს, ხოლო ახალგაზრდებისას — ა. გულამბარიანი. ჩვენი რესპუბლიკის პირველ გუნდს სათავეში უდგას ნ. ახალშენიშვილი, ახალგაზრდულს — დ. გრიგორი. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავარ გუნდში ავადმყოფობის გამო ვერ იასპარეზებს ნიჭიერი სპორტსმენი ი. გომილკო, ხოლო 1975 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის ვერცხლის პრიზიორი ვ. გონჩაროვი ტრავმის გამო ყველა სახეობაში (ცერძოდ, ცხენოსნობაში) ვერ გამოვა. აი, ეს ოთხი გუნდი შეეცილება ერთმანეთს პირად-გუნდურ საპრიზო ადგილებს, დანარჩენი გუნდების — „დინამოს", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „განთიადის" (ოთხივე — საქართველო) წევრები პირადი პირველობისთვის იბრძოლებენ.

ეს ასპარეზობა შემაჯამებელია იმიტომ, რომ უკანასკნელია წლევანდელ სეზონში. გარდა ამისა, გაისად თბილისში გაიმართება სსრ კავშირის პირველობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 1976 წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო 12 გუნდი (სხვათა შორის, ამ მაჩვენებლებით ჩვენი რესპუბლიკა VII ადგილზეა) და სტუდენტთა II საკავშირო ახალგაზრდული თამაშები. სწორედ ამ შეჯიბრებებისთვის უკეთ მზადებას ისახავს მიზნად ამჟამად თბილისში მიმდინარე ტურნირიც და თითქმის ერთთვიანი შეკრებაც წახკაძორში, რომელიც 27 დეკემბერს იწყება.

ჟ. დავითაძე.

II ლიგა ზონა

● 380 მატჩში გავიდა 911 ბურთი, ესე იგი 2,4 გოლი ერთ შეხვედრაში. 1973-74 წლებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2,6 ხოლო შარშან — 2,8 გოლს საშუალოდ ერთ მატჩში.

● 380 შეხვედრიდან ფრედ დამთავრდა 82.

● ყველაზე დიდი ანგარიშით დამთავრდა მატჩი — „შირაკი" (ლენინაკანი) — „პროგრესი" (კიროვაბადი): 9:2 გაიმარჯვა „შირაკმა".

● ყველაზე მეტი (7-7) მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს ლანჩხუთის „გურიამ" და ლენინაკანის „შირაკმა".

● ყველაზე მეტი თამაში (8) დიდი ანგარიშით წააგო ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა.

● პირველ 3 ადგილზე გასულ გუნდებთან ყველაზე მეტი ქულა — 7 აიღო გომელის „მაშინოსტროიტელმა".

● ყველაზე პოპულარული ანგარიში იყო 1:0, ასე დამთავრდა 90 შეხვედრა. ანგარიშით 2:0 დამთავრდა 66 მატჩი.

● ანგარიში 3:0 აღინიშნა 24-ჯერ, ხოლო 4:0 დამთავრდა 13 შეხვედრა.

● 19 შეხვედრაში არ მიუღია თავის კარში გოლი ბაქოს „ავტომობილისტს".

● საქართველოს გუნდების მიერ ერთმანეთს შორის გამართულ მატჩებში, ესე იგი თავისებურ მინი-ტურნირში ყველას აჯობა ლანჩხუთის „გურიამ" — 18 ქულა. რუსთავის „მეტალურგმა" საქართველოს ვერც ერთი გუნდთან ვერ შეძლო თუნდაც ქულის აღება.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

● აღსანიშნავია, რომ 1973-75 წლებში საქართველოს გუნდების ამ მინი-ტურნირებში ყოველთვის იმარჯვებდა გორის „დილა".

● რუსთავის „მეტალურგი" პირველია საქართველოს გუნდებიდან, რომელმაც ბოლო 4 წლის მანძილზე II ლიგაში უკანასკნელი ადგილი დაიკავა.

● ბოლო 4 წლის მანძილზე II ლიგაში მონაწილეობდა საქართველოს 7-7 გუნდი. მათგან ოთხი — „გურია" (ლანჩხუთი), „დინამო" (ბათუმი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) და „დილა" (გორი) ლიგის მუდმივი ბინადარნი არიან.

ი. ჯაფარაშვილი.

ხაშური.

ფეხბურთი

ემზადებიან ფინალური ტურნირისთვის

ლონდონი. აპ-ის კორესპონდენტი ჯეფრი მილერი იუწყება: ემზადება რა არგენტინის მსოფლიო პირველობის ფინალისთვის, ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები გაისად სამ საერთაშორისო შეხვედრას გამართავს სამხრეთ ამერიკაში. ინგლისელებს ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ჩემპიონატის ფინალის საგზური და შეიძლება ვერც მოიპოვონ. მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლები ოპტიმისტურად არიან განწყობილი და დაგეგმილი აქვთ მატჩების ჩატარება ბრაზილიის ნაკრებთან რიო-დე-ჟანეიროში 8 ივნისს, არგენტინის გუნდთან — ბუენოს-აირესში 12 ივნისს, ურუგვაელებთან — მონტევიდეოში 15 ივნისს.

ინგლისის მდგომარეობა შესარჩევ ჯგუფში გაუარესდა მას შემდეგ, რაც მან ახლახან იტალიის გუნდთან შეხვედრა წააგო ანგარიშით 0:2. ასოციაციის მდივანმა ტედ კროკერმა თქვა: „ვფიქრობ, რომ ინგლისელებს დიდი შანსი აქვთ მსოფლიო პირველობის ფინალში მოხვედრისა. ჯერჯერობით 6 შესაძლებლიდან 4 ქულა მოვაგროვეთ. იტალიის ნაკრებთან წაგების შესახებ ჩვენი პრესა უაღრესად პესიმისტური განწყობილებით წერს, მაგრამ, ჩემი აზრით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ გუნდმა საკუთარ მინდორზე დამაჯერებლად ითამაშა. ჯერჯერობით ინგლისელთა გუნდმა იმედი არ უნდა დაკარგოს. ასევე ნაადრევად მიმაჩნია იტალიელთა სიხარულიც. იმედი მაქვს, ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა „უემბლის" სტადიონზე სხვაგვარად წარიმართება".

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მენეჯერმა დონ რევიმ დიდი ხანია დაგეგმა თავისი გუნდის ტურნე სამხრეთ ამერიკაში. რევის აუცილებლად მიაჩნია, რომ მისი მოთამაშეები გაეცნონ იმ პირობებს, რომლებშიც 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოუხდებათ ასპარეზობა. „მე ვიცი, სხვა ეროვნულ გუნდებსაც აქვთ დაგეგმილი გაისისთვის ამერიკაში რამდენიმე შეხვედრის ჩატარება და ამიტომ მომავალ სავარაუდო შეხვედრებზე მეტოქეებთან დიდი ხნით ადრე გვქონდა გამართული მოლაპარაკება".

(საკდესი).

ტელეტაიპის ლენტიდან

● მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშების პირველ დღეს ხარკოვში ხმლით მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა. მან ფინალში ხუთივე ბრძოლა მოიგო. II ადგილზე გავიდა მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი, მინსკელი ვ. სიდიაკი, ხოლო III — მოსკოველი ა. ილიუკი.

64 და 100 უჯრაზე

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს ვაჟთა პირველობები 64- და 100-უჯრიან შაშში.

დაწინაურდა ბერუაშვილი

64-უჯრიანი შაშის ოსტატთა შეჯიბრებაში მონაწილეობენ (წილისყრის მიხედვით): რ. ესართია (თბილისი), ვ. წოწონავა (სოხუმი), მაია მოსიძე, ა. ბერუაშვილი, ს. პახლაჯიანი, შ. თუმანიშვილი (ყველა—თბილისი), მ. ცანავა (ფოთი), რ. ქერდიკოშვილი (თბილისი), ა. გრიგოლია (სამტრედია), რ. რეხვიაშვილი (რუსთავი), ვ. გობოზოვი (ცხინვალი), თამაზ ბარამიძე (თბილისი).

გთავაზობთ პირველი სამი ტურის შედეგებს. I ტური. წოწონავა — გობოზოვი 0:1, მოსიძე — რეხვიაშვილი 1:0, ბერუაშვილი — გრიგოლია 1:0, პახლაჯიანი — ქერდიკოშვილი 1:0, თუმანიშვილი — ცანავა 0:1. ერთი პარტია გადაიდო. II ტური. ქერდიკოშვილი — თუმანიშვილი 0,5:0,5, გრიგოლია — პახლაჯიანი 0,5:0,5, რეხვიაშვილი — ბერუაშვილი 0:1, გობოზოვი — მოსიძე 0,5:0,5, ესართია — წოწონავა 0:1. ერთი პარტია გადაიდო. III ტური. წოწონავა — ბარამიძე 0:1, მოსიძე — ესართია 1:0, ბერუაშვილი — გობოზოვი 1:0, პახლაჯიანი — რეხვიაშვილი 0,5:0,5, თუმანიშვილი — გრიგოლია 0,5:0,5, ცანავა — ქერდიკოშვილი 1:0.

სტარტი საუცხოოდ აიღეს ახალგაზრდა ოსტატმა ა. ბერუაშვილმა და საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ქალთა შორის, თბილისის 126-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა მაია მოსიძემ, რომლის მონაწილეობაც დიდ ინტერესს იწვევს. ტურნირის ფავორიტია, აგრეთვე, გამოცდილი მოშაშე, საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი თამაზ ბარამიძე.

ს. გელთაური,

შეჯიბრების მსაჯი.

გამხიტაშვილი არ ხუმრობს

100-უჯრიან შაშში ერთმანეთს ეჯიბრებიან (წილისყრის მიხედვით): ზ. კოკოევი (ცხინვალი), პ. კუჩეროვი (თბილისი), ს. მალოვიკი (სოხუმი), თ. მარკოზაშვილი, ვ. ინწკირველი, გ. მინასიანი, ე. ბუჟინსკი (ყველა — თბილისი), ე. რომანოვი (სოხუმი), თამარ გამხიტაშვილი, შ. ბოთერაშვილი, ნ. დარასელია (სამივე — თბილისი), თენგიზ ბარამიძე (ფოთი).

შეჯიბრების ფავორიტები არიან შაშის პირველი ქართველი ოსტატი, ფოთელი ექიმი თ. ბარამიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, საქართველოს ექს-ჩემპიონი ქალთა შორის, ოსტატი თ. გამხიტაშვილი, აგრეთვე, ოსტატი ე. ბუჟინსკი, ოსტატობის კანდიდატები, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი გ. მინასიანი, ნ. დარასელია დ სხვ.

გთავაზობთ განვლილი ტურების შედეგებს: I ტური. მალოვიკი — ბოთერაშვილი 0,5:0,5, მარკოზაშვილი — გამხიტაშვილი 0:1, ინწკირველი რომანოვი 1:0, მინასიანი — ბუჟინსკი 0,5:0,5. ორი პარტია გადაიდო. II ტური. კოკოევი — კუჩეროვი 0,5:0,5, დარასელია — მალოვიკი 0:1, ბოთერაშვილი — მარკოზაშვილი 0,5:0,5, გამხიტაშვილი — ინწკირველი 1:0, რომანოვი — მინასიანი 1:0, ერთი პარტია გადაიდო. III ტური. მალოვიკი — კოკოევი 1:0, კუჩეროვი — ბარამიძე 0,5:0,5, მარკოზაშვილი — დარასელია 0:1, ინწკირველი — ბოთერაშვილი 0,5:0,5, მინასიანი — გამხიტაშვილი 0,5:0,5, ბუჟინსკი — რომანოვი 1:0.

ზ. ქიტუაშვილი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.

პარიზში გაიხსნა ტრამპლინი წყალში თხილამურებით ხტომისთვის. ამ ახალ სინთეზურსაფარიან ტრამპლინზე წყალზე მოთხილამურენი და მოთხილამურე-აკრობატები მთელი წლის მანძილზე ივარჯიშებენ.

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 1566